პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 230 (10006)

სამშაბათი, 28 სექტემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ღვიძლი საქმე (მე-2 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
გავაუმჯობესოთ ვაჭრობა სოფლად (მე-3 გვერდი).
ოცი თვე ჩინეთში (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვება (მე-3 გვერდი).
სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე (მე-4 გვერდი).
მაო ძე-დუნი აირჩიეს ჩინეთის [illegible] თავმჯდომარედ (მე-4 გვერდი).
ჯ. გრინინი, ნ. ზახაროვი. — ამერიკელ [illegible]ტები ხელს უშლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენას (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ატომის პრობლემაზე

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს დოკუმენტებს, რომლებიც ერთმანეთს გაუცვლეს სსრ კავშირის მთავრობამ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ატომის პრობლემაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მსვლელობაში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობას, რომელიც მუდამ ახორციელებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას, არაერთგზის შეუტანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საერთაშორისო კონვენციის დადებას ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უთუო აკრძალვის, ჩვეულებრივი შეიარაღების არსებითი შემცირებისა და ამ შეთანხმებათა შესრულებისადმი ქმედითი კონტროლის დაწესების შესახებ. როცა ეს წინადადებანი შეჰკონდა, საბჭოთა მთავრობა ემყარებოდა იმას, რომ ისინი შეეფერებიან ხალხთა სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს — ბოლო მოელოს გამალებულ შეიარაღებას, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღის დარგში, და დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა კაცობრიობა გადარჩეს გამანადგურებელი ატომური ომის საშინელებას.

მიუხედავად იმ მტკიცებისა, რომელსაც ამერიკის 9 ივლისის მემორანდუმი შეიცავს, საბჭოთა კავშირი კი არა, დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უშლიდა ხელს აღნიშნულ შეთანხმებათა დადებას ყველა სუვერენული და თანასწორუფლებიანი სახელმწიფოსათვის მისაღები პირობებით.

მაგრამ იმ გარემოებამ, რომ დღემდე არ მოხერხდა ასეთ შეთანხმებათა მიღწევა, არ უნდა შეამციროს იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომელთა მიზანია დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის საჭირო შეთანხმების მიღწევა. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ თავის დროზე განაცხადა, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს კონფიდენციალურ თუ დიპლომატიურ მოლაპარაკებში მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის საერთაშორისო გამოყენების თაობაზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერის 1953 წლის 8 დეკემბრის წინადადების შესახებ.

აღნიშნა რა, რომ განხორციელება ამ წინადადებისა, რომელიც ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო ორგანოებმა თავიანთი მარაგიდან საერთაშორისო ორგანოს განკარგულებაში გამოჰყონ ატომური მასალების რაღაც ნაწილი მშვიდობიანი მიზნით გამოსაყენებლად, ხელს ვერ შეუწყობს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საბჭოთა მთავრობა ითხოვდა, ასევე, ეცადა ეპოვნა ერთ-ერთი ულამაზესი შენობა — კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლის მოპირკეთება. **სურათზე:** კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა 32-ბინიანი სახლი პუშკინის ქუჩაზე ქალაქ კლინცში.

ფოტო ი. რაბინოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჯანკისჯის ღონისძიება მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

25 სექტემბერს საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის შენობაში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა ქალაქ მოსკოვის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი ტანკისტის დღისადმი. დარბაზში შეიკრიბნენ გენერლები, ადმირალები, ოფიცრები, საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მოსკოვის პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და სახელგანთქმული მეომარი ტანკისტები.

სცენაზე ორდენის ლენტებიან საბრძოლო დროშებთან საპატიო ყარაულში არიან ტანკისტები — საბჭოთა კავშირის გმირები, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ.ა. ბულგანინი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ ვასილევსკი, ვ. დ. სოკოლოვსკი, არტილერიის მარშალი მ. ი. ნედელინი, ავიაციის მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი პ. ა. როტმისტროვი, საბჭოთა არმიის გენერლები, მინისტრები, სახელგანთქმული კონსტრუქტორები და ტანკმშენებლები.

საზეიმო სხდომა გახსნა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ჟელტოვმა.

მოხსენება ტანკისტის დღის შესახებ გააკეთა სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკმა პ. პ. პოლუბოიაროვმა.

— წელს, — თქვა მომხსენებელმა, — ტანკისტის დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად, პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, მათ შორის ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები.

ტანკისტ მეომრებს ქალაქ მოსკოვის მშრომელთა სახელით მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა.

ტანკმშენებლების — მუშების, მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის სახელით ტანკისტებს მიესალმა აგრეთვე ამხ. ს. ა. სკაჩკოვი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა, რომელაც სხდომის მონაწილენი განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ.

(საკდესი).

ურალის მაღაროელთა წარმატება

კოპეისკი (ჩელიაბინსკის ოლქი). (საკდესი). ტრესტ „კოპეისკუგოლის“ № 44 შახტის მაღაროელებმა ჩელიაბინსკის აუზში პირველმა შეასრულეს სათბობის ამოღების ათი თვის გეგმა.

დიდი შრომითი წარმატება მიღწეულია მიწისქვეშა სამუშაოს ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის მოწინავე მეთოდებისა და ახალი სამთო ტექნიკის დანერგვის მეოხებით. ქვანახშირის ამოსაღებ ლავებში და მოსამზადებელ სანგრევებში მუშაობა წარმოებს ციკლური გრაფიკით. გაუმჯობესებულია მონგრეული ქვანახშირის მიწისქვეშა გადახიდვა, რისთვისაც იყენებენ უფრო მძლავრ საშახტო ელმავალს.

მოწინავე შახტის მაღაროელებმა წელს გეგმის გადამეტებით ამოიღეს ათასობით ტონა სათბობი, გადამეტებით შეასრულეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დაგალება.



ბრიანსკის ოლქი. სწრაფად იზრდება ქალაქი კლინცი. აქ შენდება დიდი საცხოვრებელი სახლები, კლუბები, სკოლები, საბავშვო დაწესებულებები. ამას წინათ დამთავრდა ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობის — კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლის მოპირკეთება. **სურათზე:** კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა 32-ბინიანი სახლი პუშკინის ქუჩაზე ქალაქ კლინცში.

ფოტო ი. რაბინოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ამურის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ამურის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიისა და მთავრობის მითითებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მათ შორის ხორბლის დამზადების გეგმა შეასრულეს 130,0 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 6.600 ათასი ფუთით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1953 წელს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი თავი უზრუნველყვეს მარცვლეული კულტურების საკუთარი თესლით 1955 წლის საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეობანი განაგრძობენ პურის ჩაბარებას მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ანგარიშში, პურს ყიდიან სახელმწიფო შესყიდვის წესით და კოლმეურნეებს პურს აძლევენ შრომადღეებზე.

ოლქის მტს-ებმა გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა. წელს ოლქის მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოხნეს 202 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. მიწები მოამზადეს 1955 წლის მოსავლისათვის 314 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან.

ლიპეცკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებს, ლიპეცკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 6.666 ათასი ფუთით მეტი. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაამთავრეს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, შეინახეს თესლი მთელი ანეულის ფართობისათვის, კარგ აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა და გეგმის გადამეტებით დათესეს 40 ათასი ჰექტარი ჭვავი და საშემოდგომო ხორბალი. ამჟამად ოლქის კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები დაძაბულად ეწევიან მზრალად ხვნას, იღებენ და ამზადებენ კარტოფილს და ბოსტნეულს, შაქრის ჭარხალსა და მზესუმზირას და ემზადებიან საზოგადოებრივი პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის.

ბელგოროდის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ბელგოროდის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. წელს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 3,7 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. პურის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურების მიხედვით შესრულებულია: ხორბლისა 105 პროცენტით და ბურღულეულის — ფეტვისა და წიწიბურასი 125 პროცენტით, გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების წარდგენილი ანგარიშების მიხედვით და სახელმწიფო შესყიდვის წესით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სავსებით უზრუნველყოფილი არიან თესლით 1955 წლის საგაზაფხულო თესვისათვის.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს საშემოდგომო კულტურების ფართობი გაადიდეს 27 ათასი ჰექტარით, საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში 100,2 პროცენტით შეასრულეს. ოლქმა მატყლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შეასრულა 100,6 პროცენტით, კვერცხისა — 120 პროცენტით და ბოსტნეულისა — 106 პროცენტით.

ყარა-ყუმის არხის მშენებლობაზე

აშხაბადი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ფართოვდება სამუშაოთა ფრონტი ყარა-ყუმის არხის მშენებლობაზე. მოძავალი საირიგაციო ნაგებობის სათავის ნაწილის სანგრევებში შევიდა ძლავრი ელექტრომიწისმწოვი № 303 მანქანა, რომელიც დენს მცურავი ელექტროსადგურისაგან იღებს. ამავე დროს მშენებლობის სხვა უბნების სანგრევებში შევიდა სორმოვოს ორი ძლავრი მიწისმწოვი მანქანა. პირველი დღეებიდანვე მანქანები დიდი წარმადობით მუშაობენ. უფროსი ბაგერმაისტერის ჟუკოვის ბრიგადა, რომელიც № 13 მიწისმწოვი მანქანით მუშაობს, ცვლაში ნორმით გათვალისწინებული ორი ათასი კუბური მეტრის ნაცვლად 2.300 კუბურ მეტრ გრუნტს იღებს.

დაიწყო არხის სრული პროფილის გრუნტების ამოღება. მშენებლები უკვე გავიდნენ უშუალოდ ყარა-ყუმის უდაბნოს ზონაში. მოკლე ვადაში აგებულ იქნა მომავალი კელიფის წყალსაცავის მესამე და მეოთხე ჯებირები.

ამჟამად წყლით ავსებენ უდაბნოს დაბალ ადგილებს, სადაც იქმნება მთელი რიგი ტბები არხის ტრასზე.

პროგრესული მეთოდით

მრავალი წელია ჩვენი კომკავშირული სატრაქტორო ბრიგადა მომსახურებას უწევს მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმს“. გასულ წელს მაღალხარისხოვნად ჩავატარეთ საშემოდგომო ხვნა, მტკიცედ დავიცავით თესვის აგროტექნიკური წესები, დათესეთ მხოლოდ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად. ეს უხვი, ბარაქიანი მოსავლის მიღების საწინდარი გახდა. ცალკეული ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 30 ცენტნერამდე პურეული.

ბრიგადას წელს საშემოდგომოდ უნდა მოეხნა 396 ჰექტარი. მოვახანთ 650 ჰექტარი 27-30 სანტიმეტრის სიღრმეზე. ყოველმხრივ მოვემზადეთ თესვისათვის. სრულ წესრიგზე მოვიყვანეთ ოთხი სათესი მანქანა, გადავამზადეთ მთესავები. გასულ წელთან შედარებით მთესველთა რაოდენობა გაიზარდა.

თესლის მოსამზადებლად გამოვყავით კარგი სპეციალისტი მ. იორამაშვილი. თუ შარშან თვითეული ტრაქტორი ორ სათეს ამუშავებდა, ახლა სამს ამუშავებს.

თესვის სანიმუშოდ მოწყობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა ბრიგადამ მესამე სატრაქტორო ბრიგადა გამოწვია (ბრიგადირი გ. გილიგაშვილი). ახლა ვიბრძვით თესვის ვადამდე და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის.

ჩვენი სატრაქტორო ბრიგადის წევრები რჩევა-დარიგებას იღებენ აგრონომებისაგან. მტს-ის მთავარი აგრონომი ა. ივანიაძე ხშირად იწყობს საუბრებსა და კონსულტაციებს მექანიზატორებთან და კოლმეურნეებთან.

აგრონომი გვესაუბრა გასული წლის გამოცდილებაზე. პრაქტიკულად დაგვიასაბუთა, თუ როგორ მივაღწიეთ „მწვანე მინდვრების“ ფართობებიდან ჰექტარზე 27 ცენტნერი ხორბლის მოყვანას. ღრმად ხვნამ, ხვნისა და თესვის წინ სასუქების შეტანამ, ფარცხვამ და დაზიზგზაგებამ 3,3 ცენტნერით გაზარდა მოსავლიანობა.

წლევანდელმა უხვმა მოსავალმა ნათელყო, რომ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა განსაკუთრებით ზრდის მოსავლიანობას. კოლმეურნეები აგრეთვე დარწმუნდნენ, რომ ამ ზონის მიწებში კარგ შედეგებს იძლევა ხორბლის ჯიშები: „ნოვოუკრაინკა“, „კახი—8“ და „დოლისპური“. ამიტომ კოლმეურნეობა „ლენინიზმმა“ გადაწყვიტა წელს ძირითადად ამ ჯიშის ხორბალი დათესოს. უკვე ჯვარედინად დათესილია 270 ჰექტარზე მეტი.

ბრიგადაში საუკეთესო კომკავშირელი მექანიზატორები გვყავს. ილია ფრიდონაშვილი „დტ-54“ მარკის ტრაქტორზე მუშაობს. მას სამი სათესი აქვს გამოყენებული და დღეში თესავს 45 ჰექტარს. თესვაში დაწინაურდნენ კომკავშირელი ტრაქტორისტები გ. კურტანიძე, ა. ყუფარაშვილი და სხვები.

კომკავშირული ბრიგადა ნაკისრ ვალდებულებებს გაანაღდებს და იბრძოლებს მომავალ წელს მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

ვ. კურტანიძე,
კაბრეთის მტს-ის მეორე კომკავშირული სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

ბოსკოვი. სრულიად საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენა. ექსკურსანტები აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონიდან — კოლმეურნეობის „კომუნიზმისაკენ“ ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი კ. მ. კეკსიანი (მარცხნივ) და კოლმეურნეობა „ალაშარის“ მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი მ. კ. ამიჩბა ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების პავილიონის საექსპონატო ნაკვეთზე ათვალიერებენ „დიუბეკ 44“ თამბაქოს ნარგავებს.

ფოტო ლ. ველიკუანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სამხრეთ ციმბირის მაგისტრალის მშენებლობაზე

ასკიზი (ხაკასეთის ავტონომიური ოლქი). (საკდესი). სამხრეთ ციმბირის მაგისტრალის ბირიკ-ჩულ-აბაკანის უბანზე მემანქანე კოჩეტოვმა გაატარა პირველი ძმიმე წონის შემადგენლობა, დატვირთული ყამირ მიწებზე მოყვანილი პურით.

სანამ სამხრეთ ციმბირის მაგისტრალის მშენებლები მეტრობით ერთმეორეს მანძილს გაუყალ ტაიგას, მელიანდაგეები მუშაობენ ტრასის ათვისებაზე, დაჰყავთ მატარებლები, რომლებსაც გადაქაჩთ მოწყობილობა და მექანიზმები ახალშენებისათვის.

მშენებლებს ახლა გაჩაღებული მუშაობა აქვთ. გადალახეს რა მთის ბობოქარი ღელეები, გრანიტის კლდეები და სხვ., ისინი უშუალოდ მიადგნენ კუზნეცკის ალა-ტაუს მთის კალთებს. მეტრომშენებლებმა, რომლებიც აქ მოვიდნენ, უძნელეს პირობებში გაიყვანეს ქედში გვირაბი.

მთელ ტრასზე, რომელიც გადასერავს ხაკასეთს ობაკანიდან კუზნეცკის ალა-ტაუს კალთებამდე, გრანდიოზული მშენებლობა გაჩაღდა. მიმდინარეობს საუკუნოვანი კედრების, ნაძვების ამოძირკვა, აგებენ ლიანდაგს, აშენებენ სადგურებს, საცხოვრებელ შენობებს. ნამდვილი ქალაქი შეიქმნა ტაიგაში ასკიზის სადგურთან. აქ აგებულია ორმოცზე მეტი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლა, კლუბი, საავადმყოფო.

ყამირი მიწების ახალი მასივების გამოვლინება

სტავროპოლი. (საკდესი). სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცხენსაშენები წარმატებით ამთავრებენ ყამირი და ნასვენი მიწების საშემოდგომო თესვას 127 ათას ჰექტარ საერთო ფართობზე. ამავე დროს მხარის აღმოსავლეთ ნაწილში მანჩისპირა ველზე მიწათმოქმედთა და ნიადაგმცოდნეთა საძიებო პარტიები იკვლევენ დასამუშავებლად გამოსადეგი ყამირის ახალ მასივებს. მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში დამატებით გამოვლენილია ასი ათას ჰექტარზე მეტი სახნავად გამოსადეგი მიწები. ამ მიწების თითქმის ნახევარი დამომბილი აქვს მარცვლეულ კულტურებს, დანარჩენ ფართობზე დაითესება საკვები კულტურები. მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები უკვე შეუდგნენ ხვნას.

ახალი მიწების ასათვისებლად მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 100 ძლავრი მუხლუხა ტრაქტორი და 150 სათესი მანქანა.

მოსკოვის ჩაის საწონ ფაბრიკაში

მოსკოვის ლენინის სახელობის ჩაის საწონ ფაბრიკაში საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, კრასნოდარის მხარიდან ყოველდღე მოდის მიმდინარე წლის მოსავლის ათეულ ათასობით კილოგრამი ჩაი.

დედაქალაქის ჩაის საწონი ფაბრიკა საუკეთესო ხარისხის საწარმოა. უკვე მეორე დეკადაა მისი კოლექტივი ცხრა თვის გეგმის გადამეტებით უშვებს პროდუქციას.

შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებენ ჩაის საფუთავი ავტომატების ამხ. დუდირიოვას, სუხოვასა და კოზლოვას ბრიგადები. ისინი 120 პროცენტით და მეტით ასრულებენ ნორმებს. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფიერება ფაბრიკაში მიმდინარე წელს 6,3 პროცენტით გადიდდა.

ოცდაორი გაუმჯობესებული ხარისხის ჩაის იღებენ მყიდველები დედაქალაქის ფაბრიკიდან. გადიდდა და გაუმჯობესდა ისეთი ხარისხების გამოშვება, როგორიც არის „საქართველოს თაიგული“, „კრასნოდარის თაიგული“ და სხვ. სპეციალურ საამქროში მაღალი ხარისხის ჩაის ფუთავენ ლითონის, მინისა და პლასტმასის მხატვრულად გაფორმებულ საჩაიეებში. (საკდესი).

ქარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა კარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომი.

„კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემა წარმოადგენს ახალ თარგმანს, რომელიც მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

ახალი ქართული გამოცემა შესრულებულია მეოთხე გერმანული გამოცემიდან, რომელიც მომზადებული იყო ენგელსის მიერ მარქსის პირად მითითებათა საფუძველზე და იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რაც მარქსის გარდაცვალების შემდეგ მის ხელნაწერებში აღმოჩნდა. თარგმანი შედარებულია ახალ რუსულ გამოცემასთან.

წიგნის ტირაჟია 25.000 ეგზემპლარი.

მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ღვიძლი საქმე

მცხეთის მტს-ის კომუნისტების კრებამ განიხილა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის საკითხი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწინავე გამოცდილების შესანიშნავ სკოლას წარმოადგენს. სოფლის პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საქმეა ყველა კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა შეაითვისონ ამ მოწინავე გამოცდილები. პარტიული ორგანიზაციებს ამოცანაა არა დეკლარაციები და მოწოდებები სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვის შესახებ, არამედ ყოველდღიური, მიზანდასახული პრაქტიკული საქმიანობა ნოვატორთა მუშაობის საუკეთესო მაგალითების ფართოდ გასავრცელებლად.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ხრძოლას სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგებისა და ცალკეული კოლმეურნეობების დაწინაურებისათვის, ხრძოლას საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისა და პირუტყვის გამოზამთრების სანიმუშოდ მომზადებისათვის.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვა პარტიის რაიონული კომიტეტების, სოფლის ყველა პარტიული ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა. სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ფართოდ აჩალებენ მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას, ეხმარებიან სოფლის მეურნეობის მუშაკებს ამ გამოცდილების დანერგვის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია მცხეთის მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც კომუნისტთა ღია კრებაზე განიხილა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის საკითხი. კრებამ მოისმინა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსანტის, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივნის მცხეთის მტს-ის ზონაში ამხ. ვ. ბერუჩაშვილის მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა.

ქვემოთ ვთავაზობთ ანგარიშს ამ პარტიული კრების შესახებ.

მოწინავე გამოცდილების შესანიშნავი სკოლა

პარტიის მცხეთის რაიკომის მდივნის მტს-ის ზონაში ამხ. ვ. ბერუჩაშვილის მოხსენებიდან

ამხანაგებო! ძნელია სიტყვებით იმის გადმოცემა, რაც გამოფენაზე ვნახე და მოვისმინე. მე მაინც შევეცდები მოკლედ მოგითხროთ ამ შესანიშნავი ქალაქ-ბაღის შესახებ, განსაკუთრებით იმის შესახებ, რაც ჩვენთვის საინტერესო და სასარგებლოა. ჩვენმა ხალხმა გამოფენას სამართლიანად უწოდა სახალხო უნივერსიტეტი. გამოფენაზე წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის 169 ათასი მოწინავე მუშაკის — მეხორბლისა და მეცხოველის, მეკარტოფილისა და მეზოსტნის, მეციტრუსისა და მეჩაიბლის, მევენახისა და მეფუტკრის, მექანიზატორისა და აგრონომის მდიდარი გამოცდილება. პავილიონებში თვალნათლივ არის ნაჩვენები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობის შესანიშნავი მაგალითები და ამ წარმატებათა მოპოვების გზები და მეთოდები.

ყველა პავილიონი ერთმანეთზე უკეთესია. მნახველთა ყურადღებას იქცევს საქართველოს სსრ პავილიონი. აქ ნაჩვენებია ჩვენი რესპუბლიკის 231 მეურნეობისა და ორგანიზაციის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის 1.891 მუშაკის გამოცდილება. გამოფენაზე ფართოდ ჩვენებით არის წარმოდგენილი მახარაძის რაიონი. ჩვენი ყურადღება მიიქცია გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ მიღწევებმა. ამ კოლმეურნეობამ 42 ჰექტარი ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე ვაშლისა და მსლის 107,8 ცენტნერი მოსავალი მიიღო. მცხეთის რაიონის მეხილეებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ ამ მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილება.

ერთ-ერთ სტენდზე მოთავსებულია გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ძ. რიგვავას პორტრეტი. ამხ. რიგვავამ საშუალოდ ჰექტარზე 216 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. აქვეა პორტრეტი ცნობილი კოლმეურნე ნოვატორის ჩ. ქვაჩახიასი, რომელმაც ჰექტარზე 182 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ჩვენი ამოცანაა გულდასმით შევისწავლოთ და წარმოებაში დავნერგოთ სიმინდის უხვი მოსავლის ამ შესანიშნავი ოსტატების გამოცდილება.

საქართველოს სსრ პავილიონში დიდი ყურადღებით სარგებლობს ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის მოწინავე მეაბრეშუმის, სოციალისტური შრომის გმირის ოსანა აივაზაშვილის მიღწევები მეაბრეშუმეობაში. 1953 წელს ო. აივაზაშვილის რგოლმა ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე საშუალოდ 125,7 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 54 კილოგრამისა. ქისტაურელები წელიწადში აბრეშუმის პარკის 6-7 მოსავალს იღებენ, ვინაიდან ჭიის გამოკვებას 19 დღეში ამთავრებენ.

მცხეთის რაიონში კი ჭიის გამოკვება 30-40 დღეს გრძელდება, რის გამო აბრეშუმის პარკის დაბალ მოსავალს იღებენ. ამიტომ ჩვენ ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ფართოდ გავავრცელოთ ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილება და გადავაქციოთ მეაბრეშუმეობა მოწინავე დარგად.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება საქართველოს სსრ პავილიონში ნაჩვენები გამოცდილების შესახებ, მაგრამ უფრო საინტერესოდ და აუცილებლად მიმაჩნია მოკლედ მაინც ვილაპარაკო მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა იმ გამოცდილებაზე, რომლის დანერგვა შეიძლება და საჭიროც არის მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში.

რუსეთის სფს რესპუბლიკის პავილიონში ფართო ჩვენებით არის წარმოდგენილი მოსკოვის ოლქის მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მიღწევები მებოსტნეობაში. ამ მეურნეობაში აგრონომად მუშაობს ამხ. ფილატოვი, რომელსაც ეკუთვნის ტორფნეშომპალის ქოთნების გამოყენების ინიციატივა და რომელმაც ამ ქოთნების დასამზადებელი დაზგა გამოიგონა. მეურნეობაში ბოსტნეულის მოვლა-დამუშავება მთლიანად მექანიზებულია. ბოსტნეულის გადარგვა ხდება მანქანებით. მაქსიმალურად იყენებენ ჩითილების ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანისა და კვადრატულ-ბუდობრივად რგვის წესს. გასულ წელს 400 ჰექტარი ბოსტნეულის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 362 ცენტნერი ბოსტნეული მიიღეს, მათ შორის 603 ცენტნერი კომბოსტო, 270 ცენტნერი პამიდორი.

მცხეთის მტს-ი კი რაიონის კოლმეურნეობებში ნაკლებად აწარმოებს ბოსტნეულის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვას, არ იყენებს მექანიზაციას ბოსტნეულის დამუშავებაში. მიწანეშომპალის ქოთნები მხოლოდ წელს გამოვიყენეთ, ამასთან ბევრ კოლმეურნეობაში ქოთნები დაბალხარისხოვნად დაამზადეს, რის გამო ბოსტნეულის დაბალი მოსავალი მიიღეს.

წინადადება შემომაქვს მომავალ წელს ბოსტნეულის ჩითილი მთლიანად მიწანეშომპალის ქოთნებში გამოვიყვანოთ, კოლმეურნეობებში დავნერგოთ კვადრატულ-ბუდობრივად რგვისა და თესვის წესი, ფართოდ გამოვიყენოთ ბოსტნეულის მოვლა-დამუშავებაში მექანიზაცია. გარდა ამისა, ჩვენს პირობებში ძალიან ხელსაყრელია და აუცილებლად უნდა მივყოთ ხელი საადრეო კომბოსტოს მოყვანას. თუ მოსკოვის ოლქში საადრეო კომბოსტოს მოყვანისათვის აუცილებელია კვალსათბურები და სათბურები, ჩვენში ეს საჭირო არ არის. ადგილობრივი პირობები საშუალებას იძლევა შემოდგომაზე, კერძოდ ნოემბერში, ღია გრუნტში ვაწარმოოთ კომბოსტოს გადარგვა, დავამუშავოთ ადრე გაზაფხულზე, ხოლო მაისის მეორე ნახევარში ავიღოთ მოსავალი. ასეთივე წესით იმავე ნიადაგზე შეიძლება კომბოსტოს მეორე მოსავლის მიღებაც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეობათა შემოსავლიანობას.

გამოფენაზე ფართო ჩვენებით არის წარმოდგენილი მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის მტს-ი. ამ მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში, ისევე როგორც ჩვენს რაიონში, განვითარებულია მეხოსტნეობა, მეხორბლეობა, მეცხოველეობა და სხვ. სახნავი ფართობის ნახევარზე მეტი ბოსტნეულსა და კარტოფილს უჭირავს. შარშან მტს-ის მანქანებით დაირგო ბოსტნეულის 72 პროცენტი, კარტოფილის — 95, ხოლო მანქანებით დამუშავებულ იქნა სათოხნი კულტურების 96 პროცენტი. მტს-ის მომსახურების 11 კოლმეურნეობიდან ექვსში შრომატევადი სამუშაოები მთლიანად არის მექანიზებული, ხოლო ხუთში — ნაწილობრივ.

მცხეთის მტს-მა ფართოდ უნდა გამოიყენოს ამ მოწინავე მტს-ის გამოცდილება მებოსტნეობისა და მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაციის დარგში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით მტს-მა უნდა შეძლოს ბოსტნეულის სარგავი მანქანების შემოტანა და კოლმეურნეობებში გამოყენება.

დიდად საინტერესოა დნეპროპეტროვსკელი კომბაინერის ე. კომბაინეცის თაოსნობა. მან 1953 წელს პურეულის მოსავლის აღების შემდეგ თავისი კომბაინი სიმინდის აღებაზე გამოიყენა. ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს დიდად გაუადვილდებათ სიმინდის აღება, თუ მცხეთის მტს-ის მექანიზატორები უნარიანად გამოიყენებენ ე. კომბაინეცის მეთოდს.

გამოფენის დამთვალიერებელნი დიდი ყურადღებით ეცნობიან და სწავლობენ კურგანის ოლქის კოლმეურნე მეცნიერის ტერენტი მალცევის მუშაობის გამოცდილებას. მან ხორბლისათვის ნიადაგი მოხნა უფრთო გუთნით 40-60 სანტიმეტრ სიღრმეზე. ასე დამუშავებულ ნიადაგზე ზედაპირის აოშვის შემდეგ დათესა ხორბალი და მაღალი მოსავალი მიიღო. ჩვენმა მტს-მა მოფიქრებულად, შემოქმედებითად უნდა გამოიყენოს ტ. მალცევის მეთოდი მეხორბლეობაში.

გამოფენაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს აკადემიკოს ციცინის მიერ გამოყვანილი ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდი, რომელიც მაღალ მოსავალს იძლევა. მოსკოვის ოლქის მოჟაისკის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ამ ხორბლის ნათესი 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 50,8 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს. ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდი ხასიათდება გვალვისადმი დიდი გამძლეობით, არ იკის ჩაცვივნა და ჩაწოლა, კარგად უძლებს სოკოვან დაავადებებს. კარგი იქნება, თუ მცხეთის მტს-ი, სასელექციო სადგურთან ერთად, წარმოებაში დასანერგავად გამოცდის ამ მეტად სასარგებლო ჯიშის ხორბალს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს მეცხოველეობისა და მევენახეობის მოწინავეთა საამაყო მაჩვენებლებზე და დასასრულ დასასკვნის: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მკაფიოდ ასახავს კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის გამარჯვებას სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში. გამოფენაში სარკესავით არის გამოხატული ჩვენი ხალხის თავდადებული შრომა იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახეს.

ეჭვი არ არის, რომ მტს-ის პარტიული ორგანიზაცია, ყველა მექანიზატორი და სპეციალისტი მტკიცედ დაიარაზმებიან გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პრაქტიკაში დასანერგავად. ისინი ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმისათვის, რომ 1955 წელს მცხეთის მტს-მა ფართო ჩვენებით მიიღოს მონაწილეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

მთლიანად გამოვიყენეთ არსებულ რეზერვებს

მტს-ის მთავარი აგრონომის ამხ. ა. ბარისაშვილის სიტყვიდან

— შეგვეძლო თუ არა უკეთესი მაჩვენებლები მოგვეპოვებინა მუშაობაში?—აი კითხვა, რომელიც მებადეხოდა მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებისას.

რა თქმა უნდა, შეგვეძლო მეტის გაკეთება, თუ ჩვენს ხელთ არსებულ რეზერვებს მთლიანად გამოვიყენებდით. მართალია, ამ უკანასკნელად მტს-მა და მისმა კოლექტივმა მუშაობა შესამჩნევად გარდაქმნეს, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. გასულ წელს ძალიან გაგვიჭიანურდა საშემოდგომო თესვა. იყო დაბალხარისხოვნად დათესვის ფაქტებიც. ამის გამო მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ხორბლის დაბალი მოსავალი მიიღეს. წელს ეს აღარ უნდა გამეორდეს. საჭიროა მოწინავე მექანიზატორების მაგალითისამებრ მაქსიმალურად გავზარდოთ თვითეული ტრაქტორის გამომუშავება და ამ გზით მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში შესრულებას.

თქმა არ უნდა, რომ ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვას დიდი უპირატესობა აქვს. მაგრამ ჩვენს მტს-ს ვიწრო მწკრივებად სათესი მანქანები არა აქვს. საჭიროა მტს-ის დირექციამ ეს საკითხი დააყენოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე.

გამოფენაზე დიდი ინტერესით გავეცანი კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინის“ მემინდვრეობის ნოვატორის ტ. მალცევის მეთოდით ნიადაგის დამუშავების წესს. წინადადებას ვაყენებ, რომ წელს სამ კოლმეურნეობაში რამდენიმე ჰექტარზე მოვაწყოთ ამ მეთოდით ნიადაგის დამუშავება და თესვა. ამ საქმეში საქმიანი დახმარების გაწევა შეუძლია ნატახტრის სასელექციო სადგურს.

დავთესოთ დარაიონებული საუკეთესო ჯიშის თესლი

მტს-ის თესლის ხარისხის ლაბორატორიის გამგის ამხ. ქ. წულეისკირის სიტყვიდან

აქამდე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მიღწეულ წარმატებათა შესახებ გაზეთში თუ წაიკითხავდი ანდა რადიოთი მოვისმენდი ხოლმე. მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კი ყველაფერი თვალით ვნახე, გულდასმით შევისწავლე. მარცვლეული კულტურების პავილიონში დავათვალიერე ხორბლის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები.

კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია. მცხეთის რაიონისათვის სასელექციო სადგურის მიერ პერსპექტიულად არის ცნობილი ახალგამოყვანილი ხორბლის ჯიშები: „კახი-8“ და „შრომა-7“. ლობიოს ახალგამოყვანილი ჯიშებიდან უხვ მოსავალს იძლევიან: „ცანავა-3“, „ვენახის ლობიო-24“. საჭიროა ეს ჯიშები ფართოდ დაინერგოს რაიონის კოლმეურნეობებში.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რაიონის რიგ კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა საშემოდგომო თესვისათვის საჭირო სათესლე მასალის დროულად მომზადებას. დიდი რაოდენობით უკონდიციო თესლი აქვთ სოფელ წეროვნის, არაშენდას და სხვა კოლმეურნეობებს. მტს-ის დირექციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბოსტნეული კულტურების პავილიონში გავეცანი ამ კულტურებში თესლბრუნვის მოწყობის საქმეს. ბოსტნეულ კულტურებში თესლბრუნვა მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებშიც უნდა შემოვიღოთ.

ავამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე

მტს-ის პარტბიუროს მდივნის მოადგილისა და მთავარი ზოოტექნიკოსის ამხ. თ. მიქელოვას სიტყვიდან

ახლა მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება მიმართულია საშემოდგომო ხვნა-თესვის მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისაკენ. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ხვნა-თესვაზე მომუშავე თვითეული ტრაქტორისტი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითს იძლეოდეს. მართალი იყვნენ აქ გამოსული ამხანაგები, როცა სოციალისტურ შეჯიბრებაში არსებულ ფორმალიზმზე ლაპარაკობდნენ. პარტიულმა ბიურომ არსებითად უნდა გარდაქმნას სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნდა ექსკურსანტთა პირველი ჯგუფი. ჩვენი სამხრეთ ამოცანაა იქ მიღებული გამოცდილება ფართოდ განვაზოგადოთ მექანიზატორთა შორის. პარტბიურო მოაწყობს გამოფენის ექსკურსანტების მიერ ლექცია-მოხსენებების წაკითხვას სატრაქტორო ბრიგადებში. გავაძლიერებთ პოლიტიკურ აგიტაციას. უფრო საქმიანს გავხდით პარტიული ჯგუფების მუშაობას.

რამდენიმე სიტყვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის ეს დარგი [illegible] ჩამორჩენილია. [illegible] ზომები პირუტყვის [illegible] ლად, [illegible] ჩვენი მეზობელი გორის რაიონი სტავროპოლის მხარე არ არის, მაგრამ ამ რაიონის ნევრმა კოლმეურნეობამ ჯიშიანი პირუტყვის შეძენისა და კვების გაუმჯობესების გზით დიდ წარმატებას მიაღწია წველადობაში. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ გორელ მეცხოველეთა გამოცდილება.

ვთელ ფართობს ჯვარედინად დავთესავთ

მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ამხ. ა. მამულაშვილის სიტყვიდან

მომავალი წლის უხვ მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი. ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა სოფელ მუხრანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურება. შემოდგომის ხორბალი დასათესი გვაქვს 445 ჰექტარზე. საამისოდ ნიადაგი მთლიანად მოვხანით. თესვასაც შევუდექით. „დტ-54“ მარკის ტრაქტორით, რომელსაც მიბმული აქვს სამი სათესი მანქანა, ყოველდღიურად ვთესავთ 30-35 ჰექტარს. გადაუყვეტილი გვაქვს მთელი ფართობი პროგრესული წესით — ჯვარედინად დავთესოთ.

საშემოდგომო თესვის მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა ეჯიბრება მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადას. ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ გამარჯვებული გამოვიდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1955 წელს მოიპოვოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

* * *

კომუნისტთა კრებამ, რომელმაც ცოცხლად და საინტერესოდ ჩაიარა, ორ საათს გასტანა.

კრებამ მიიღო კონკრეტული დადგენილება.

პარტიული კრების დადგენილებიდან:

დაევალოს პარტბიუროს მდივანს ამხ. ს. თოხვაძეს გააძლიეროს პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვისათვის, მტს-ის მუშაკთა შორის ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება 1955 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

დაევალოს მტს-ის დირექტორს ამხ. ა. კაჭარავას საშემოდგომო თესვა მომსახურების ყველა კოლმეურნეობაში, გარდა მთიანი კოლმეურნეობებისა (კევლიანი, ნატბეურა), ჩაატაროს მხოლოდ სათესი მანქანებით.

გეგმით გათვალისწინებული 5.000 ჰექტარის ნაცვლად მანქანებით საშემოდგომოდ დაითესოს 5.200 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად 2.600 ჰექტარი.

მთელ ფართობზე თესვის წინ ჩაატაროს კულტივაცია, ხოლო თესვის დამთავრებისთანავე ნაკვეთები დაკვალოს რწყვისათვის.

პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. თოხვაძემ გააძლიეროს მექანიზატორთა შორის საინტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, მტს-თან არსებულ ლექტორიუმში მოაწყოს გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა მიერ ლექცია-მოხსენებების კითხვა.

დაევალოს მტს-ის მთავარ აგრონომს ამხ. ა. ბარისაშვილს ცდის მიზნით ტ. მალცევის მეთოდით ნიადაგის დასამუშავებლად შეარჩიოს რაიონის სამ კოლმეურნეობაში 3 ჰექტარის რაოდენობით ნაკვეთი, ნიადაგი დაამუშაოს უფრთო გუთნით 40-45 სანტიმეტრის სიღრმეზე და უზრუნველყოს მისი მაღალხარისხოვნად დათესვა.

ეთხოვოს პარტიის მცხეთის რაიკომს დაავალოს ნატახტრის სასელექციო სადგურს დახმარება გაუწიოს მტს-ს აკადემიკოს ციცინის მიერ გამოყვანილი ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდული თესლით თესვის ცდის დაყენებაში.

მტს-ის დირექციამ გადამჭრელი ზომები მიიღოს მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დასანერგავად. წელსვე დაიწყოს და მომავალი წლის პირველ ნახევარში დამთავრდეს რაიონის ოთხი კოლმეურნეობის (მისაქციელის, წეროვნის, საგურამოს, მცხეთის) ფერმებში შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაცია.

მომავალი წლის გაზაფხულზე ბოსტნეულის და სიმინდის მთელი ფართობის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისა და რგვის საწარმოებლად მტს-ის დირექციამ დააყენოს საკითხი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე, რათა მტს-ს დამატებით გამოეყოს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი 5 მანქანა, კარტოფილის სარგავი—2 და ბოსტნეულის ჩითილისა — 3 მანქანა.

დაევალოს პარტბიუროს მოაწყოს მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრება საშემოდგომო ხვნა-თესვის მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის, მიაღწიოს ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებას.

თვითეულ სატრაქტორო ბრიგადაში და სათეს აგრეგატზე სისტემატურად შეამოწმოს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და აგიტატორების, კედლის გაზეთების, რადიოს, საპატიო დაფების საშუალებით ფართოდ გააცნოს შეჯიბრების შედეგები ყველა მექანიზატორს.

დაევალოს კომკავშირის კომიტეტის მდივანს ამხ. გ. გეწაძეს დარაზმოს ყველა კომკავშირელი და ახალგაზრდა საშემოდგომო ხვნა-თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის.

პარტბიურომ სისტემატური კონტროლი დაწესოს ამ დადგენილების განხორციელებისადმი და ოქტომბერში პარტიულ კრებაზე განიხილოს საკითხი მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საშემოდგომო სახოფლო-სამეურნეო სამუშაოები გორის რაიონში. **სურათზე:** 1. საშემოდგომო ხვნა სოფელ ზედდულეთის. კოლმეურნეობის მინდვრებზე; 2. ახალსოფლის მტს-ის ტრაქტორისტი ი. ბოლათაშვილი თესვას აწარმოებს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ვალდებულება იკისრა დათესოს 200 ჰექტარი ხორბალი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გაზეთების ფურცლებზე

მუხრანის ველის სარწყავი სისტემა

მუხრანის ველის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივმა დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. დროებით საექსპლოატაციოდ გადაეცა სარწყავი სისტემის პირველი რიგი. მცხეთის რაიონის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში მაგისტრალური არხით არაგვის წყლის გაშვებას.

სასახელოდ იშრომა სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივმა, რომელსაც ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა, მშენებლობის ტრასის რთულმა რელიეფმა და გეოლოგიურმა პირობებმა მოითხოვა სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის შექმნა. მათ შორის ყველაზე დიდია არხის სათავის ნაგებობა — რკინაბეტონის კაშხალით, წყალმიმღები, გალერიებით და სხვ. მშენებლობაზე შესრულებულია 1,7 მილიონი კუბური მეტრი მიწის, 45 ათასი კუბური მეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები. 90 პროცენტი მიწის და 96 პროცენტი ბეტონის სამუშაოები მექანიზებული წესით შესრულდა.

ამჟამად მაგისტრალურ არხზე სოფელ მისაქციელთან შენდება ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს მახლობელ სოფლებსა და კოლმეურნეობებს. შენდება სატუმბავი სადგური, რომელიც წყალს მიაწვდის წეროვნის მასივს — 1,5 ათას ჰექტარ ფართობს.

მაგრამ მუხრანის ველის სარწყავი სისტემის მშენებლობის მთლიანად დასამთავრებლად, წერს მცხეთის რაიონული გაზეთი **„კომუნიზმის გზით“**, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საჭიროა რაიონის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა უფრო მეტად იზრუნონ იმისათვის, რომ საქმიანი დახმარება გაუწიონ მშენებლებს მუშახელით, ხოლო მუხრანმშენის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია მოვალენი არიან მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მდიდარი ტექნიკა, რათა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრონ სარწყავი სისტემის დარჩენილი სამუშაოები.

კოლმეურნე მეცნიერის ტ. მალცევის მეთოდით

ნიადაგის ღრმად დამუშავების „წესმა, რომელიც შემოიღო კოლმეურნე მეცნიერმა — ჯურგანის ოლქის მადრინის საცდელი სადგურის დირექტორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ტერენტი მალცევმა, ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. სამეცნიერო დაწესებულებები, სოფლის მეურნეობის მეცნიერების მუშაკები, მტს-ებისა და კოლმეურნეობების აგროსპეციალისტები ღრმად სწავლობენ ტ. მალცევის მიერ შემუშავებულ ნიადაგის დამუშავების წესებს.

როგორც რაიონული გაზეთი **„კოლმეურნის ხმა“** იუწყება, თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გაიმართა მტს-ის ზონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირი, მიძღვნილი ტ. მალცევის მეთოდისადმი.

თათბირის გადაწყვეტილებით ყველა კოლმეურნეობაში მოეწყობა 5-10 ჰექტარი საცდელი ნაკვეთები, რომლებიც დამუშავდება ტ. მალცევის მეთოდით. თვითეული ამ ნაკვეთისათვის უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება მტს-ის ან კოლმეურნეობის აგრონომი. მტს-ის დირექციამ განკარგულება მისცა. სახელოსნოს ამოსაძირკავი გუთანი გადააკეთოს უფრთო გუთნად, რომლითაც მოხდება ნიადაგის ღრმად ხვნა.

რაიონული გაზეთების ვალია სისტემატურად, საქმის ცოდნით განუმარტონ სოფლის მეურნეობის მშრომელებს ტ. მალცევის მიერ შემუშავებული სისტემა, მისი უპირატესობა, იბრძოლონ ამ მეთოდის ადგილობრივ პირობებთან შეხამებით ფართოდ დანერგვისათვის.

პამიდორის უხვი მოსავალი

გორის რაიონის სოფელ შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა წელს პამიდორისა და კომბოსტოს ორნახევარჯერ მეტ მოსავალს იღებს, ვიდრე შარშან.

შარშან კოლმეურნეობაში პამიდორის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერს არ აღემატებოდა, ხოლო კომბოსტოსი — 85 ცენტნერს. წელს კი შავშვებელი კოლმეურნეები 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კრეფენ 220 ცენტნერ პამიდორს, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივად დარგულ ფართობზე — 270 ცენტნერს. კარგი პირი უჩანს კომბოსტოს მოსავალსაც. კოლმეურნეობის მებოსტნეები ვარაუდობენ საშუალოდ ჰექტარზე 300 ცენტნერი კომბოსტოს მიღებას, მაშინ როცა გეგმა 180 ცენტნერს ითვალისწინებს.

თუ როგორ მიაღწიეს შავშვების კოლმეურნეებმა ბოსტნეულის უხვ მოსავალს, ამის შესახებ მოგვითხრობს გორის რაიონული გაზეთი **„სოციალისტური სოფელი“**. იხრძოდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეებმა გასული წლის შემოდგომაზე მზრალად მოხნეს საბოსტნე ნაკვეთები, რომლებიც გულმოდგინედ დაამუშავეს ამ გაზაფხულზე, ფართობებში საკმაო რაოდენობით შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქი. პამიდორისა და კომბოსტოს ჩითილი შავშველმა მებოსტნეებმა ნეშომპალის ქოთნებში გამოიყვანეს, ხოლო მაისის პირველ რიცხვებში გრუნტში დარგეს. ზაფხულის განმავლობაში კოლმეურნე მებოსტნეებმა პამიდორისა და კომბოსტოს ფართობები ხუთჯერ გააფხვიერეს, ოთხჯერ მორწყეს და გაატარეს აგროტექნიკით გათვალისწინებული ყველა სხვა საჭირო ღონისძიება. ყოველივე ამან უზრუნველყო ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღება. პამიდორისა და კომბოსტოს დიდ მოსავალს იღებენ კოლმეურნეობის ის ბრიგადები, რომლებსაც ტ. მიდელაშვილი და ლ. გაგიევი ხელმძღვანელობენ.

გავაუმჯობესოთ ვაჭრობა სოფლად

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ენერგიულად მუშაობს იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანა — უკეთ მოემსახუროს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს. ამ ამოცანის შესრულების გზაზე მიღწეულია გარკვეული წარმატებანი: საქონელბრუნვის მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა შესრულდა 103,3 პროცენტით, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოსახლეობას მიეყიდა 200 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი. კარგად იმუშავეს და გეგმებიც გადაჭარბებით შეასრულეს გორის, თბილისის, ონის, წალკის და სხვა კოოპერაციულმა კავშირებმა. მეორე კვარტალში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კარგი მაჩვენებლებისათვის მეორე საკავშირო პრემია მიიღო გორის, ხოლო მესამე — წალკის რაიკოოპკავშირმა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, აღნიშნულ წარმატებებთან ერთად ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს სოფლად ვაჭრობის გაშლის საქმეში. არის შემთხვევები, როდესაც სოფლის მაღაზიებში არ მოიპოვება ისეთი პირველი მოთხოვნილების საქონელი, როგორიც არის ნავთი, მარილი, ასანთი და სხვ. მაგალითად, ხაშურის სოფლის კოოპერატივის ცხრამუხის მაღაზიაში ნავთი არ ჰქონდათ ივლის-აგვისტოში 15 დღეს, ხოლო ოსიაურის მაღაზიაში ორ თვეს. ისეც ხდება, რომ საწყობებში ესა თუ ის საქონელი ბევრია, მაღაზიებში კი ვერ იშოვნით.

მომხმარებელთა მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობას, მუშაობის ახალი ხერხებისა და მეთოდების უგულებელყოფას შედეგად მოაქვს საქონელბრუნვის გეგმების შეუსრულებლობა. ასე მოხდა, მაგალითად, გურჯაანის, ჩოხატაურის, ახმეტის, გეგეჭკორის რაიკოოპკავშირებში, რომლებმაც საქონელბრუნვის მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა ვერ შეასრულეს.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ საჭირო საწარმოებში ჯერ კიდევ არის საქონლის გადამალვის, ფასების დამახინჯების, უფაქტურო საქონლით ვაჭრობის, მომხმარებლების ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევები.

წარსულ წლებთან შედარებით შემცირდა კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-განიავების შემთხვევები, მაგრამ ალმოფხვრილი მაინც არ არის. კასპის, ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირები, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიკოოპერატივები სუსტად იბრძვიან გამფლანგველთა წინააღმდეგ.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს 1954 წლის საქონელბრუნვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ და მოსახლეობას გეგმის გადამეტებით მიაწოდონ 60 მილიონი მანეთის საქონელი; საკომისიო ვაჭრობის შემდგომი გაფართოების მიზნით 1955 წლის პირველ იანვრამდე თბილისში დამატებით გაიხსნას სამი, ხოლო ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში თითო საჩვენებელი საკომისიო მაღაზია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისათვის; მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უზრუნველყოფილ იქნას თბილისში სულ ცოტა 2.500 ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვა და გაყიდვა და სხვ.

ცეკავშირის გამგეობამ უნდა გაითვალისწინოს არსებული ნაკლოვანებანი და აქტივის დახმარებით უზრუნველყოს ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება.

ახალი სათბურებისა და კვიღსათბურების მშენებლობა

თბილისს გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობების წინაშე სერიოზული და საპატიო ამოცანა დგას — მთელი წლის მანძილზე მოამარაგონ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები ახალი ბოსტნეულითა და მწვანილით. რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა დასახული ამოცანის განსახორციელებლად.

ორთაჭალის, გლდანის, ავჭალისა და დიღმის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს 8.000 კვადრატული მეტრი სათბურების მშენებლობა. ეს ოთხჯერ მეტია შარშან აშენებულზე.

რაიონის 16 კოლმეურნეობაში კი შენდება 5.560 კვადრატული მეტრი ახალი კვალსათბური — 1.160 კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ჯანმრთელობის კიდევ ერთი ახალი კერა

სოფელ სხვიტორიდან 7 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ჩიხურას პირას მდებარეობს პატარა, მაგრამ თავისი შესანიშნავი ბაღით და სამკურნალო წყლით მეტად მნიშვნელოვანი კურორტი კვერეთი.

როგორც დადასტურებულია, კვერეთის წყალი კარგ შედეგებს იძლევა რევმატიზმისა და კანის დაავადებათა, ნერვული სისტემის მოშლილობის მკურნალობისას.

კვერეთის კეთილმოწყობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა ყურადღება, აშენდა საცხოვრებელი ბინები, მოპირკეთდა საბაზანოები.

ახლა კვერეთში ყოველწლიურად მრავალი მშრომელი ჩამოდის სამკურნალოდ.

ამ პატარა კურორტისათვის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს ჭიათურის მარგანეცის მუშაკთა დასასვენებელი სახლი, რომელიც მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს გადაეცა საექსპლოატაციოდ. ახლა აქ იმყოფება დამსვენებელთა პირველი ჯგუფი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახლში ისვენებენ არა მარტო ჭიათურელი მაღაროელები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, არამედ მოძმე ნიკოპოლის მაღაროელები, რუსთავის მეფოლადეები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები და სხვ.

ამჟამად მდინარე ჩიხურაზე იგება დიდი კაშხალი, რომლის დამთავრების შემდეგ ამუშავდება უფრო მძლავრი ელექტროსადგური, ვიდრე აქამდე კვერეთშია. კაშხალის აუზი გამოყენებულ იქნება დამამთავრებელთა ნაოსნობისათვის.

მომავალ წელს დასასვენებელ სახლთან აშენდება საკუთარი საბაზანოები, მთის ფერდობზე, დასასვენებელი სახლის ბაღამდე გაყვანილ იქნება ფუნიკულორი.

კვერეთი ახლო მომავალში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ძლიერ და შესანიშნავ კერად გადაიქცევა.

ნ. ფერეთელი.

საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვება

სსრ კავშირის გუნდმა ჰადრაკში მსოფლიო პირველობა მოიპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამსტერდამში XI საერთაშორისო ხაჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული სსრ კავშირის გუნდი. პირველ რიგში — მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი; მეორე რიგში — პ. კერესი, ე. გელერი, ა. კოტოვი.

ამსტერდამი, 27 სექტემბერი. (საკ.). 25 სექტემბერს გვიან საღამოს მოეწყო დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. შედეგად ადგილები სატურნირო ცხრილში განაწილდა შემდეგნაირად:

პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა — 34 ქულა. მეორე ადგილზეა არგენტინა — 27 ქულა, მესამე ადგილზე — იუგოსლავია — 26,5 ქულა. შემდეგ მოყვებიან: ჩეხოსლოვაკია — 24,5 ქულა, დასავლეთი გერმანია — 23,5, უნგრეთი — 23, ისრაელი — 22, ჰოლანდია — 21, ინგლისი — 17. ბულგარეთი — 17 (სატურნირო ცხრილში ინგლისი უფრო წინაა, რადგან მან მატჩი მოუგო ბულგარეთს), შვეიცარია — 15 და ისლანდია — 13,5 ქულა.

ამავე დროს დამთავრდა დამატებითი ტურნირიც, რომელშიც გამოირკვა შემდგომი ადგილები, ესე იგი 13-დან 26-მდე. ამ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა შვეიცარიის გუნდმა.

26 სექტემბერს ღამით ტურნირი ოფიციალურად დაიხურა. სსრ კავშირის გუნდს გადაეცა ვერცხლის მოოქროული თასი, რომელზედაც ამოკვეთილია: „1954 წლის ოლიმპიადა, სსრ კავშირი“. გადაეცა აგრეთვე სპეციალური პრიზები საუკეთესო შედეგებისათვის ცალკეულ დაფებზე. პირველ დაფაზე სპეციალური პრიზი მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა დიდოსტატმა ბოტვინიკმა, მეორეზე — ანდერსონმა (კანადა), მესამეზე — ბარცამ (უნგრეთი), მეოთხეზე — კერესმა (სსრ კავშირი), რომელსაც, გარდა ამისა, გადაეცა დამატებითი პრიზი აბსოლუტურად საუკეთესო შედეგისათვის, რაც მიღწეულ იქნა ამ ტურნირში. კერესმა, როგორც ცნობილია, მოაგროვა 13,5 ქულა 14 შესაძლებელში, რაც წარმოადგენს პირველ ასეთ ბრწყინვალე შედეგს საერთაშორისო შეჯიბრებებში. მეხუთე დაფაზე სპეციალური პრიზი მიიღო ფუდერერმა (იუგოსლავია) და მეექვსე დაფაზე — ვალტერმა (შვეიცარია).

საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის მოგაწილეებს მიესალმა ქალაქ ამსტერდამის მერი. შემდეგ სიტყვა წარმოთქვეს მთელი რიგი გუნდების კაპიტნებმა და საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციის ხელმძღვანელმა პოსტნიკოვმა.

ოლიმპიადის დახურვამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ინდონეზიის ქალთა დელეგაციის მონაწილეთა შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

ჯაკარტა, 25 სექტემბერი. (საკდესი). ინდონეზიის ქალთა დელეგაციის წევრები, რომლებიც დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში სამი კვირის მოგზაურობიდან, გამოდიან მიტინგებსა და კრებებზე და დამსწრეთ უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. 24 სექტემბერს დელეგაციის წევრები ქ-ნი ანდრეასი, ქ-ნი სამსუდინი და ქ-ნი ხანაფი გამოვიდნენ ჯაკარტის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე. კრებას დაესწრო ათასამდე კაცი, რომლებსაც მათ უამბეს საბჭოთა ხალხის მიღწევებზე და იმაზე, თუ რა თვალსაჩინო როლს ასრულებენ ქალები საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„საბჭოთა ადამიანები, — განაცხადა ანდრეასმა, — მეგობრობის უდიდესი გრძნობით არიან გამსჭვალული სხვა ხალხებისადმი, მათი კანის ფერისა და რასის მიუხედავად. ჩვენ ეს მაშინვე შევნიშნეთ, როცა ფეხი დავდგით საბჭოთა მიწაზე“.

ანდრეასმა შემდეგ თქვა: „საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ნორჩი თაობისათვის განსაცვიფრებელია; ბავშვებს სასახლეები აქვთ... მეტროს სადგურები ისეთი მშვენიერია, რომ ჩვენი მერდეკის სასახლე ვერ შეედრება“.

ქ-ნმა სამსუდინმა განაცხადა: „ქალებს საბჭოთა კავშირში ყველა უფლება აქვთ. ისინი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა საზოგადოებაში. ჩვენ ვნახეთ ქალები ინჟინრები, პროფესორები, მფრინავები, აგრეთვე ქალები, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მთავრობის აპარატში. ყოველივე ეს მოწმობს, თუ რა აყვავებას განიცდის საბჭოთა საზოგადოება“.

ოცი თვე ჩინეთში

წერილი პირველი

საპატიო შეკვეთა

მაისის თბილი დილაა. თვითმფრინავმა კურსი მოსკოვისაკენ აიღო. ერთხელ კიდევ გადავხედე მშობლიურ თბილისს, მერე კი ფიქრებს მივეცი, შორი გზა მედო ჩინეთამდე. პირველად ვტოვებდი სამშობლოს და ზუნებრივია, რომ ერთბაგს დავნაღვლიანდი, მაგრამ სევდა მალე გაქრა. ახლა თავში ათასნაირი კითხვები ირეოდნენ, ყველაზე მეტად ის მაწუხებდა, თუ როგორ უნდა დავლაპარაკებოდი ჩინელ ამხანაგებს, მე ჩინური არ ვიცოდი, იმათ კი...

მაგრამ ვიდრე ამ ამბების მოყოლას შევუდგებოდე, მინდა მოგაგონოთ, თუ რამ გაძოიწვია ჯერ ჩემი, რამდენიმე თვის შემდეგ კი ქაშიაშვილისა და მირველოვის შორეული მგზავრობა.

არც ერთმა ჩვენგანმა ჯერ არაფერი იცოდა ჩინეთში მომავალი გამგზავრების შესახებ, როდესაც 1951 წლის ბოლოს ქარხანამ მიიღო დავალება მომდევნო წლის დასაწყისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის რამდენიმე ტიპის ავტომატური და ნახევრადავტომატური მილდასამუშავებელი ჩარხები დაემზადებინა. ქარხნის მთელი კოლექტივი დიდი ერთსულოვნებით შეუდგა საპატიო შეკვეთების შესრულებას. ყველას ის ახარებდა, რომ საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებაში, რომელსაც იგი განთავისუფლებულ სახალხო ჩინეთს უწევს, მათი წვლილიც იქნებოდა.

მაგრამ შეკვეთებს შორის ერთი ისეთი სახის ჩარხი იყო, რომლის მსგავსი ჯერ არც ერთ საბჭოთა ქარხანას არ დაემზადებინა, ეს იყო გეოლოგიური საძიებო მილების მოსაჭრელი მანქანა. ამ რთული აგრეგატის კონსტრუქციის დამუშავება, მისი ნიმუშის შექმნა ადვილი საქმე როდი იყო და სწორედ ეს გვაფიქრებდა.

მალე შეიქმნა კონსტრუქტორთა ბრიგადა, რომელშიც შევიდნენ კონსტრუქტორები კომკავშირელი გალინა ბეზმაურენკო, თამარ ლორთქიფანიძე, ელენა მარტიროსოვი, გიორგი აბრამოვი. ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. ბრიგადას დაეკალა ახალი მანქანის დაპროექტება.

მანქანის შექმნის გზაზე ერთი დიდი ეტაპის გადალახვა გამარჯვებით დაგვირგვინდა — პროექტი მზად იყო.

მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარე იყო, წინ კიდევ არა ნაკლები რთული და მძიმე სამუშაო გვქონდა — კონსტრუქტორთა შემოქმედებითი შთაგაფიქრისათვის ხორცის შესხმა, რაც საამქროებში უნდა მომხდარიყო.

როცა ყველა დეტალი დამზადდა, მათ მეთერთმეტე საამწყობო საამქროში მოუყარეს თავი. აქამდე ცალკე ნაწილებად დამლილი დეტალები და კვანძები ახლა ერთ მთლიან ორგანიზმად უნდა ქცეულიყო. ჩარხის აწყობის ხელმძღვანელობა საამქროს უფროსის მოადგილეს ალექსანდრე ქაშიაშვილს დაევალა.

კონსტრუქტორები, მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები არაფერს ვიშურებდით იმისათვის, რომ პირნათლად დაგვეცვა საქარხნო მარკის ღირსება, კიდევ უფრო მაღლა აგვეწია საბჭოთა ჩარხმშენებელთა სახელოვანი დროშა.

დავალება შესრულდა! მანქანები გაეგზავნა შემკვეთს, ჩინეთის ანშანის მეტალურგიულ კომბინატს.

რამდენიმე თვის შემდეგ მოულოდნელად გავიგე, რომ ჩვენი ქარხნის სპეციალისტებს, მათ შორის მეც, ჩინეთში გვგზავნიდნენ. გაგვეხარდა. ჩვენ გვევალებოდა მანქანების დადგმა, მონტაჟი და ადგილზე საწარმოო გამოცდა, აგრეთვე ჩინელი ახალგაზრდებისაგან ჩარხებზე მომუშავეთა კადრების მომზადება.

„ისწავლე საბჭოთა კავშირისაგან!“ — ეს ლოზუნგი ფართოდ გავრცელებულია ახალ ჩინეთში. იმპერიალისტური ულლისაგან განთავისუფლებული დიდი ჩინელი ხალხი მაგალითს იღებს საბჭოთა ადამიანებისაგან, სწავლობს მათგან. საბჭოთა სპეციალისტები უანგარო დახმარებას უწევენ ჩინეთის მრეწველობის მუშაკებს. ჩვენი ჩარხმშენებელთა ერთი ასეთი ჯგუფი 1951 წელს გაიგზავნა ანშანის მეტალურგიულ კომბინატში. თბილისიდან იყვნენ კიროვის სახელობის ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ვიქტორ ბობრო, რომელიც მთელ ბრიგადას ხელმძღვანელობდა, მე-11 საამწყობო საამქროს უფროსის მოადგილე ალექსანდრე ქაშიაშვილი და ელექტრიკოსი ბორის მირველოვი. მათ რამდენიმე თვე დაჰყვეს სახალხო ჩინეთში. დაბრუნდნენ შარშან დეკემბერში.

რედაქციამ სთხოვა მათ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებანი ახალ ჩინეთზე. ვბეჭდავთ ბობროსთან, ქაშიაშვილთან და მირველოვთან საუბრებს.



სურათზე: მარცხნიდან — ვ. ბობრო, მილსაგლინავი საამქროს უფროსი იან ფინუენი, ნ. შიშოვი, ა. ქაშიაშვილი, მეორე რიგში — ა. მირველოვი ანშანის მეტალურგიული კომბინატის მილსაგლინავ საამქროში.

კიდევ უფრო გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ანშანის მეტალურგიული კომბინატის მილსაგლინავი საამქროს მშენებლობაზე, სადაც ჩვენი ჩარხები უნდა დადგმულიყო, შევხვდი ჩინელებს, რომლებიც რუსულად ლაპარაკობდნენ. მუშაობა რომ გაადვილებულიყო, თარჯიმნებიც დაგვინიშნეს. აქ ბევრი იყო ისეთი ახალგაზრდა, რომლებიც ხარბინისა და პეკინის ინსტიტუტებში დაუფლებოდნენ რუსულ ენას. ისინი ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევდნენ, მუშაობაში ჩვენი უახლოესი თანაშემწეები იყვნენ.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება და ყოველთვის დიდი მადლობით მოვიხსენიებთ გო ბო-სინის, ლი სი-ნინის, ჯან პი-შუსა და სხვების სახელებს, რომლებმაც ჩვენთან ერთად დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ ჩინეთის შოლტაპის გადალახვა გამარჯვებით დაგვირგვინდა — პროექტი მზად იყო.

მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარე იყო, წინ კიდევ არა ნაკლები რთული და მძიმე სამუშაო გვქონდა — კონსტრუქტორთა შემოქმედებითი შთაგაფიქრისათვის ხორცის შესხმა, რაც საამქროებში უნდა მომხდარიყო.

როცა ყველა დეტალი დამზადდა, მათ მეთერთმეტე საამწყობო საამქროში მოუყარეს თავი. აქამდე ცალკე ნაწილებად დამლილი დეტალები და კვანძები ახლა ერთ მთლიან ორგანიზმად უნდა ქცეულიყო. ჩარხის აწყობის ხელმძღვანელობა საამქროს უფროსის მოადგილეს ალექსანდრე ქაშიაშვილს დაევალა.

კონსტრუქტორები, მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები არაფერს ვიშურებდით იმისათვის, რომ პირნათლად დაგვეცვა საქარხნო მარკის ღირსება, კიდევ უფრო მაღლა აგვეწია საბჭოთა ჩარხმშენებელთა სახელოვანი დროშა.

დავალება შესრულდა! მანქანები გაეგზავნა შემკვეთს, ჩინეთის ანშანის მეტალურგიულ კომბინატს.

რამდენიმე თვის შემდეგ მოულოდნელად გავიგე, რომ ჩვენი ქარხნის სპეციალისტებს, მათ შორის მეც, ჩინეთში გვგზავნიდნენ. გაგვეხარდა. ჩვენ გვევალებოდა მანქანების დადგმა, მონტაჟი

ხანაგურად შემხვდნენ, განა მარტო მე, საბჭოთა კავშირიდან ჩასულ თვითეულ მოქალაქეს. თავი ისე ვიგრძენი, როგორც შინ. ასეთ დროს ვინღა ფიქრობს ენის ცოდნაზე, მეგობრებისათვის ისეც ბევრი რამ გასაგები და ნათელია.

კიდევ უფრო გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ანშანის მეტალურგიული კომბინატის მილსაგლინავი საამქროს მშენებლობაზე, სადაც ჩვენი ჩარხები უნდა დადგმულიყო, შევხვდი ჩინელებს, რომლებიც რუსულად ლაპარაკობდნენ. მუშაობა რომ გაადვილებულიყო, თარჯიმნებიც დაგვინიშნეს. აქ ბევრი იყო ისეთი ახალგაზრდა, რომლებიც ხარბინისა და პეკინის ინსტიტუტებში დაუფლებოდნენ რუსულ ენას. ისინი ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევდნენ, მუშაობაში ჩვენი უახლოესი თანაშემწეები იყვნენ.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება და ყოველთვის დიდი მადლობით მოვიხსენიებთ გო ბო-სინის, ლი სი-ნინის, ჯან პი-შუსა და სხვების სახელებს, რომლებმაც ჩვენთან ერთად დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ ჩინეთის შორეული სოფლებიდან მოსული მრავალი ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური მეტალურგი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გამხდარიყო.

როდესაც თარჯიმნებს ვიხსენებთ, ყოველთვის თვალწინ გვიდგება ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე ჯაბუკის გო ბო-სინის სახე. იგი ახალი ჩინეთის ტიპიური წარმომადგენელია. რკინიგზელი მუშის შვილმა სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ხარბინის უცხო ენების ინსტიტუტის რუსული ენის ფაკულტეტი დაამთავრა. გო დიდი მონდომებით შრომობდა, თავისი შემოსავლის ნაწილს მოხუც მშობლებს უგზავნიდა. ერთ დღეს მან თავისი პატარა და გაგვაცნო. გაგვიკვირდა, საიდან გაჩნდა ეს გოგონა აქ, როცა მისი დედ-მამა პეკინის გარეუბანში ცხოვრობდა.

— მე ჩამოვიყვანე, — გვითხრა გო ბო-სინმა, — მეოთხე კლასის მოსწავლეა, მინდა აქ მოვაწყო სკოლაში, ოღონდ მაინც შევუმსუბუქო შრომა მშობლებს.

ანშანი

სასტუმროს მეოთხე სართულიდან, სადაც ჩვენ გვეკავა ოთახები, ხელისგულივით მოჩანდა ჩინელ მეტალურგთა ქალაქი ანშანი. იგი ვაკეზეა გაშლილი და ირგვლივ მთებით არის შემორკალული, ერთი შეხედვით მშობლიურ თბილისს გვაგონებს. ამიტომ იყო, რომ ასე ზმირად გავიქერიდით სასტუმროდან ქალაქის ამ მხარეს.

ეს მიდამო ძველთაგანვე ჩინეთის მეტალურგების კერაა. რკინის მადნის მდიდარი საბადოები ლითონის მრეწველობის დიდ პერსპექტივას ქმნიდა, მაგრამ ჩინელ ფეოდალებს არ სურდათ, რომ ქვეყნისათვის ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან დარგს გასძღოლოდნენ. როგორც კი მანჯურია ხელთ იგდეს იაპონელმა მტაცებლებმა, გერმანელი სპეციალისტების დახმარებით მაშინვე შეუდგნენ მსხვილი მეტალურგიული ბაზის მშენებლობას ანშანში და შექმნეს კიდეც. ისინი ანშანს კუზნეცკს უპირისპირებდნენ. იაპონელები გაიძახოდნენ: ეს არის ჩვენი პასუხი საბჭოთა კუზნეცკზეო!

ძველი მუშები გვიყვებოდნენ, თუ რა არაადამიანურ პირობებში უხდებოდათ შრომა. ჩინელებს აკრძალული ჰქონდათ კომბინატში რაიმე პასუხსაგები პოსტის დაკავება. ინჟინრეული სოფლებიდან მოსული მრავალი ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური მეტალურგი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გამხდარიყო.

ჩინელ ინჟინრებს ეკრძალებოდა ანშანის ტერიტორიაზე ცხოვრება. ისინი ანშანის გარეუბნებში ცხოვრობდნენ. ეს ადგილები ანშანისაგან ოცი-ოცდაათ კილომეტრზე იყო დაშორებული. ინჟინრებს ეკრძალებოდა ოჯახის ყოლა. ეს ბოროტი ადათი ანშანის ინჟინრებს ჩინეთის ოკუპაციის ხანაში ჰქონდათ. ეს ადათი ანშანის ინჟინრებს ჩინეთის ოკუპაციის ხანაში ჰქონდათ. ეს ადათი ანშანის ინჟინრებს ჩინეთის ოკუპაციის ხანაში ჰქონდათ.

ანშანელ ინჟინრებს ეკრძალებოდა ოჯახის ყოლა. ეს ბოროტი

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე

პეკინი, 26 სექტემბერი. (საკდესი). სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დღევანდელ სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ჯოუ ენ-ლაის მოხსენების გამო.

საზღვარგარეთ მცხოვრები 12 მილიონი ჩინელის სახელით დეპუტატმა ხე სიან-ნინმა ილაპარაკა იმ დახმარებასა და მხარდაჭერაზე, რასაც მათ ცენტრალური სახალხო მთავრობა უწევს, მთავრობის ზრუნვაზე სამშობლოში დაბრუნებულთათვის. მან აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულენი თავიანთი სამშობლოს წარმატებებით ამაყობენ და პრაქტიკული მოქმედებით დახმარებას უწევენ ახალი ჩინეთის წინსვლას ბედნიერი მომავლისაკენ.

დეპუტატმა ძია ტო-ფუმ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, დაწვრილებით ილაპარაკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშაობაზე გასულ ხუთ წელიწადში და იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია მათ წინაშე გარდამავალ პერიოდში.

დეპუტატმა შენ იან-ბინმა ილაპარაკა სახალხო ჩინეთის მიღწევებზე კულტურისა და ხელოვნების დარგში. ამკამად, აღნიშნა შენ იან-ბინმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არის ოთხი კინოსტუდია, რომლებმაც 1953 წლის დამლევისათვის გამოუშვეს 252 კინოფილმი, მათ შორის 49 მხატვრული ფილმი და, გარდა ამისა, განახორციელეს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების 320 ფილმის დუბლაჟი ჩინურ ენაზე. რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ჩინეთში აშენდა 187 კინოთეატრი. ჩინეთში არის 148 თეატრი, 1.600-ზე მეტი პროფესიული თეატრალური დასი, რომლებიც გამოდიან როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებში მონაწილეობს 10 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე და 100 ათასზე მეტი გლეხი. შემდეგ შენ იან-ბინმა ილაპარაკა ჩინეთის ხელოვნების მუშაკთა მხატვრული ოსტატობის ამაღლების ძირითად ამოცანებზე.

ილაპარაკა რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებაზე გასულ ხუთ წელიწადში, დეპუტატმა ლი შუ-ჩენმა აღნიშნა ჩინეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მნიშვნელოვანი ზრდა. 60 მილიონი გლეხური მეურნეობა ამჟამად გაერთიანებულია ურთიერთ დახმარების ჯგუფებად. ჩინეთში არსებობს 100 ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, 101 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 2.400-ზე მეტი სახელმწიფო მეურნეობა. ლი შუ-ჩენმა თავისი სიტყვის დასასრულს დეპუტატებს მოუწოდა მოიპოვონ შემდგომი წარმატებანი ჩინეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. დეპუტატ ჟუნ გაო-ტანის სიტყვით, რომელმაც ილაპარაკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტის განვითარებაზე, დამთავრდა კამათი მთავრობის მუშაობის შესახებ ჯოუ ენ-ლაის მოხსენების გამო. სულ კამათში მონაწილეობა მიიღო 74 კაცმა.

შემდეგ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველმა სესიამ პრეზიდიუმის წინადადებით ერთხმად მიიღო რეზოლუცია — დამტკიცდეს მოხსენება მთავრობის მუშაობის შესახებ, რომელიც ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით გააკეთა სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ. სესიის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ღონისძიებებით და დიდი წარმატებებით, რომლებიც ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ხუთ წელიწადში მოიპოვა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით.

შემდეგ სესიამ განიხილა სესიის პრეზიდიუმის სარედაქციო კომისიის მოხსენება იმ კონკრეტულ წინადადებათა შესახებ, რომლებიც დეპუტატებმა შეიტანეს და რომლებიც სარედაქციო კომისიამ 39 წინადადებად გააერთიანა. სესიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — ეს 39 წინადადება შესასრულებლად გადაეცეს სახელმწიფო საბჭოს.

სხდომის დასასრულს დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ძალაში რჩება ყველა კანონი და დადგენილება, რომლებიც ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ შეიმუშავა და დამტკიცა 1949 წლის 1 სექტემბრიდან, იმ კანონთა და დადგენილებათა გარდა, რომლებიც არ შეეფერებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციას. 27 სექტემბერს სესია მუშაობას განაგრძობს.

მაო ძე-დუნი აირჩიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ

პეკინი, 27 სექტემბერი. (საკდესი). სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დღევანდელ სხდომაზე დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ ამხანაგი მაო ძე-დუნი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ამხანაგი ჯუ დე.

პეკინს ჩავიდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები

პეკინი, 26 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის გამო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს პეკინს ჩამოვიდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები.

წყალში ჩაუშვეს გემი, რომელსაც ჰოლანდია აშენებს სსრ კავშირისათვის

ჰააგა, 25 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სლიდრეჰტში (სამხრეთ ჰოლანდიის პროვინცია) წყალში ჩაუშვეს რეფრიჟერატორული გემი, „ზელენოგორსკი“, რომლის წყალწყვეა 6,5 ათასი ტონა. ამ გემს საბჭოთა კავშირისათვის აშენებს ფირმა „დე კლოპი“. ამასთან ერთად დაიწყო ასეთივე ტიპის მეორე გემის აგება.

წყალში ჩაუშვეს საბჭოთა თბომავალი, რომელიც ბელგიაში შენდება

ბრიუსელი. 25 სექტემბერი. (საკდესი). 24 სექტემბერს ტამიზში (აღმოსავლეთი ფლანდრია) „ბოელის“ გემსაშენში წყალში ჩაუშვეს ახალი საბჭოთა თბომავალი „ალექსანდრე გერცენი“.

ეს მეხუთე გემია, რომელიც წელს აშენდა ბელგიაში საბჭოთა სავაჭრო ფლოტისათვის.

საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში

მოსკოვი. 26 სექტემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ამ დღეს დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალური სტადიონი საზეიმოდ იყო მორთული. ნაირფერი სასპორტო ალმები, პლაკატები და ლოზუნგები ამშვენებდნენ ტრიბუნებს.

16 საათია. სპორტის მოყვარულები მოუთმენლად მოელიან უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩის დაწყებას.

გაისმის სასპორტო მარშის ხმა. გუნდები მწყობრად გამოდიან მოედნის ცენტრში. საზეიმო ცერემონიალი. უნგრელ ფეხბურთელებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ნიკიფოროვი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა უნგრეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შებეში. ქიერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. გუნდების კაპიტნები პუშკაში და ნეტო ერთმანეთს უძღვნიან ვიმპელებს, ფეხბურთელები — თაიგულებს.

წინასამატჩო წრთვნა. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის არტურ ელსის (ინგლისი) სასტვენის ხმაზე მეგობრები მოედანზე გამოდიან შემდეგი შემადგენლობით: უნგრეთის ნაკრები — გროშიჩი, ბუზანსკი, ვარხიდი, ლანტოში, ბოქიკი, სოიკა, ბუდაი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში, ფელმაში; საბჭოთა კავშირის ნაკრები — იაშინი, ტიშჩენკო, ბაშაშკინი, სედოვი, ვოინოვი, ნეტო, ტატუშინი, ღოლობერიძე, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.

პირველი დარტყმა. სიმონიანს ბურთი მოძრაობაში მოჰყავს. მე-2 წუთზე საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელები მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე აღმოჩნდნენ. უნგრელმა დამცველებმა თავიანთი კარი უვნებელყვეს.

თამაშის ტემპი მატულობს. ბრძოლა თანდათან საინტერესო ხდება. შესანიშნავად თამაშობენ იაშინი, ბაშაშკინი, ვოინოვი, ნეტო. ცნობილ ფეხბურთელ პუშკაშს ოსტატურად სდარაჯობს ვოინოვი.

მიმდინარეობს მე-14 წუთი. წინ გაიჭრა სიმონიანი და ბურთი კარის გასწვრივ ოსტატურად მიაწოდა სალნიკოვს. თავური დარტყმა. გოლი. 1:0.

საერთო მოწონებას იმსახურებს ტექნიკურად ძლიერ უნგრელ ფეხბურთელთა ეფექტიანი თამაში, თუმცა მათ პირველ ტაიმში მიზანს ვერ მიაღწიეს. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა 1:0 საბჭოთა კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის მე-5 წუთი. ბურთის მოსაგერიებლად გამოსული იაშინი წაიკიეს. კარი ღიად დარჩა. იქვე პუშკაშის დარტყმა; თითქოს უდავო გოლია. მაგრამ ბაშაშკინმა ზედ კარის ხაზთან შეაჩერა ბურთი.

მეტად ლამაზი და ეფექტიანი იყო მეთორმეტე წუთზე სტუმართა მიერ თავური გადაცემებით გათამაშებული კომბინაცია, რომელიც ჰიდეგკუტის ძლიერი თავური დარტყმით დამთავრდა. იაშინმა განსაცვიფრებელი ნახტომით მოიგერია ბურთი.

მე-15 წუთზე პუშკაშმა სწრაფად გადასცა ბურთი კოჩიშს, რომელიც წინ გაიჭრა და ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

დარჩენილ წუთებში ორივე გუნდი შესანიშნავი ოსტატობით იბრძოდა. ტემპიან და მაღალტექნიკურ თამაშს განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებლები. ანგარიში კი უცვლელი დარჩა.

ეს საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1. მატჩი გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

სურათზე: ზევით — საბჭოთა და უნგრელი ფეხბურთელები თაიგულებს უძღვნიან ერთმანეთს. ქვევით — თამაშის ერთ-ერთი მომენტი. მეკარე იაშინი იგერიებს მაღალ ბურთს.

ფოტო ლ. დორენსკისა და ს. პრეობრაჟენსკისა.

ფეხბურთის მატჩი სსრ კავშირისა და უნგრეთის მეორე ნაკრებ გუნდებს შორის

ბუდაპეშტი, 26 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ სახალხო სასპორტო სტადიონზე გაიმართა ფეხბურთის მატჩი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მეორე ნაკრებ გუნდებს შორის. წვიმიანი ამინდის მიუხედავად მატჩს დაესწრო 90 ათასამდე მაყურებელი.

თამაშის პირველ ნახევარში 39-ე წუთზე ვოროშილოვმა პირველი ბურთი გაიტანა უნგრეთის გუნდის კარში. თამაშის მეორე ნახევარში ზაზროევმა და კოროტკოვმა გაიტანეს კიდევ ორი ბურთი.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 3:0 სსრ კავშირის მეორე ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენას

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის პირველ სხდომაზე ამერიკის დელეგაციამ ზეგავლენა მოახდინა მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებზე, რომლებიც დამოკიდებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებზე, და მიაღწია იმას, რომ უარყოფილი იქნა საბჭოთა წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ. შეერთებული შტატების ასეთი დისკრიმინაციული მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ სრულიადაც არ არის ახალი. იაპონელმა რადიოკომენტატორმა იუკიხირო კუმაგაიმ გამოიანგარიშა, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი „ამ ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოში განხილულ იქნა თითქმის 150-ჯერ“, და ყოველთვის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ფუშავდნენ მის სწორ გადაჭრას.

მართლაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ საკითხის განხილვის ისტორია, რომ მის საქმიანობაში მონაწილეობა მიეღოთ ექვსასმილიონიანი ჩინეთის ნამდვილ წარმომადგენლებს, ცხადყოფს, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების წინააღმდეგობის შედეგად დღემდე არსებობს ისეთი წარმოუდგენელი მდგომარეობა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის ადგილი უკავია გომინდანელს, რომელიც არავის წარმომადგენელი არ არის.

ჯერ კიდევ 1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განცხადებით, რომ განმათავისუფლებელ ომში ჩინელი ხალხის გამარჯვების შემდეგ იგი ჩინეთის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია. ამის შესაბამისად 1950 წელს დაინიშნა ჩინეთის დელეგაცია გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა და მათზე დამოკიდებულმა ქვეყნებმა ჩინეთის კანონიერი წარმომადგენლები არ დაუშვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და დაჟინებით მოითხოვეს, რომ მათი ადგილი კვლავ დაეკავებინა ჩინელი ხალხის მიერ განდევნილი ჩანკაიშელთა ხროვის დელეგატს.

შემდეგში ამერიკის შეერთებული შტატების დისკრიმინაციული პოლიტიკა ჩინეთის მიმართ ხორციელდებოდა იმ ყალბი საბაბით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ბრალად სდებდნენ აგრესიას კორეის წინააღმდეგ. ამით კორეაში ომის ამერიკელი ორგანიზატორები ცდილობდნენ მიეჩქმალათ საკუთარი აგრესიული მოქმედება. კორეაში სომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, რაც მიღწეულია მნიშვნელოვანწილად ჩინელი ხალხის ღონისძიებათა მეოხებით, აგრესორებს ხელიდან გააგდებინეს სახალხო ჩინეთის წინააღმდეგ ცილისწამების იარაღი. მიუხედავად ამისა, მათ ხელი არ აუღიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის დაუშვებლობის პოლიტიკაზე. როცა შარშან შემოდგომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მერვე სესიაზე მოითხოვეს მოეწვიათ ჩინეთის წარმომადგენლები, რათა მათ თავიანთი კანონიერი ადგილი დაეკავებინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა ყოველი ღონისძიება მიიღო, რომ არ დაეშვა ამ საკითხის განხილვა.

ასეთივე ტაქტიკა იხმარა ამერიკის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზეც. გაიღაშქრა რა სესიის მუშაობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, ამერიკის დელეგაციამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს გენერალურ ასამბლეაში ამ საკითხის განხილვაც კი აშინებთ.

ამერიკის დიპლომატიის დაკნინება ამ შემთხვევაში გასაგებია: მას ეშინია იზოლირებული არ აღმოჩნდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში ჩინეთის წარმომადგენელთა მონაწილეობის საკითხის განხილვისას, რადგან მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენას. „წითელი ჩინეთის ხელმძღვანელთა დაუსრულებელი ბოიკოტი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო თათბირებში მათს მონაწილეობაზე დაუსრულებელი უარის თქმა ხელს არ უწყობს მშვიდობის საქმეს“, — წერს ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთი „დეილი მირორი“. „მანამდე, სანამ ახალი ჩინეთი მიღებულ არ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შორეულ აღმოსავლეთში არ შეიძლება ხანგრძლივი მშვიდობა“, — აღნიშნავს ინდოეთის გაზეთი „ამრტ ბაზარ პატრიკა“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა ამას წინათ ჩიკაგოში გამართულ მიტინგზე აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობისაგან აზიის ყველაზე დიდი სახელმწიფოს ჩამოცილება ასუსტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობა იძულებულია აღნიშნოს ამერიკის მმართველი წრეების ზოგიერთმა წარმომადგენელმაც. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჰოსტზე რესპუბლიკური პარტიის ყოფილმა კანდიდატმა ლენდონმა საჯარო გამოსვლაში განაცხადა: „ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ და გავიგოთ, რომ ჩინეთი დიდი სახელმწიფოა. ჩვენ, მგონია, ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელიც ამაში თავის თავს ატყუებს“...

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს არ სურთ ანგარიში გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ახორციელებენ რა თავიანთ აგრესიულ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში, ასინი ამზადებენ ახალ სამხედრო ავანტიურებს ჩინეთის წინააღმდეგ. ამას მოწმობს მრავალი ფაქტი, მათ შორის მანილაში ამას წინათ ხელმოწერილი პაქტი „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის შესახებ“ და მანილის კონფერენციის შემდეგ დალესის გამგზავრება ტაივანზე ჩან კაი-შისთან მოსალაპარაკებლად.

მაგრამ ამერიკის ხრიკები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც მშვიდობის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია აზიაში, მარცხით მთავრდება. ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების ცდა მოეხდინათ სახალხო ჩინეთის იზოლაცია: დიპლომატიური ურთიერთობა მასთან უკვე დაამყარა 25 ქვეყანამ, ხოლო სავაჭრო — 50 ქვეყანამ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი გავლენა მშვიდობის ბედთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე განუწყვეტლივ იზრდება. ევნევის თათბირი და ამ თათბირზე მიღწეული შეთანხმებანი ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის უმნიშვნელოვანესი საკითხები არ შეიძლება გადაიჭრას, თუ ამაში მონაწილეობას არ იღებს დიდი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სწორედ ასევე, როგორც გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, არ შეიძლება ვილაპარაკოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე როგორც ავტორიტეტიან საერთაშორისო ორგანიზაციაზე, თუ ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს — ჩინეთს არა აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი გადაჭრით გმობს იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავს მოახვიეს გადაწყვეტილება — არ დაუშვას ჩინეთი მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიის მუშაობაში. გამოხატავს რა საერთო განწყობილებას, ინდონეზიის მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „მერდეკა“ წერს: „ჩვენ ვკითხულობთ, რატომ დღემდე დახურულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარი 600 მილიონი ჩინელისათვის, დიდი ხალხისათვის, რომელიც მრავალ წელს ეწეოდა მამაცურ ბრძოლას თავისუფლებისათვის. თურმე, მხოლოდ იმიტომ, რომ შეერთებულ შტატებს არ მოწონთ სისტემა, რომელიც 600 მილიონმა ჩინელმა აირჩია“.

მთელი მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ ჩინეთის კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ვ. ბრინინი,
ნ. ზახაროვი.

თბილისს ჩამოვიდა ინდოელ სტუდენტთა და მასწავლებელთა დელეგაცია

27 სექტემბერს თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით.

აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ აკადემიკოსები ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. ს. ბერიტაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ვ. დ. კუპრაძე, გ. ს. ახვლედიანი, გ. ვ. წერეთელი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ელენტი და სხვ.

დელეგაციის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ვ. დ. კუპრაძემ. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ თბილისის საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით ხვდება — „მეგობარი ინდოელი ხალხის წარმომადგენლებს, რომ საბჭოთა ქვეყნებსა და ინდოეთს შორის ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც თანდათან ფართოვდება, ხელს შეუწყობს ორი დიდი ხალხის შემდგომ დაახლოებას.

საპასუხო სიტყვაში ქალაქ ლაკნაუს უნივერსიტეტის პროფესორმა აიერმა აღნიშნა, რომ ინდოელი და საბჭოთა ხალხები. ალსავსენი არიან ერთიანი მისწრაფებით — შეინარჩუნონ მშვიდობა, და რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელიც ვითარდება, ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

ინდოეთის უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა დელეგაცია გაეცნობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობასა და ახალგაზრდობის ცხოვრებას. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია

თბილისში ოთხ დღეს იყო ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ქ-ნ მ. ჩანდრასეკხარის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას, შეხვდნენ გამოჩენილ ქართველ მსახიობებს, დაათვალიერეს თბილისის ისტორიული და კულტურული ძეგლები.

სტუმრები იყვნენ ქალაქ გორში, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

27 სექტემბერს ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია ტაშკენტს გაფრინდა. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაცაკიძე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი დაფარვის 1-ლი ტირაჟისა,

რომელიც გაიმართა 1954 წლის 20 სექტემბერს ქალაქ ასტრახანში.

სესხის იმ ობლიგაციების ნომინალური ღირებულების გადახდა, რომლებიც ამ ტირაჟში დაიფარა, დაიწყება 1954 წლის 1 ოქტომბრიდან.

დაფარვის ტირაჟში გასულია სესხის თვითეული თანრიგის ობლიგაციების 50-ვე ნომერი (№ 01-დან № 50-მდე) შემდეგ სერიებში:

სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №
060048	062453	065264	068025	070301	072549	074737	077838
060049	062465	065318	068052	070329	072597	074768	077871
060066	062476	065377	068115	070376	072602	074876	077879
060114	062519	065393	068118	070399	072671	074953	078048
060118	062573	065395	068123	070422	072772	074987	078074
060135	062583	065454	068147	070501	072785	075075	078121
060200	062587	065455	068255	070552	072816	075202	078152
060237	062598	065483	068280	070581	072846	075288	078190
060284	062707	065572	068336	070605	072856	075364	078227
060285	062718	065682	068436	070607	072870	075376	078295
060334	062744	065704	068506	070608	073021	075397	078334
060346	062745	065724	068560	070617	073124	075401	078348
060374	062771	065771	068564	070634	073222	075438	078360
060402	062906	065794	068578	070645	073233	075478	078377
060421	063004	065815	068579	070668	073245	075602	078427
060436	063028	065836	068740	070702	073255	075733	078507
060476	063113	065849	068749	070728	073289	075739	078517
060479	063222	065908	068768	070756	073327	075749	078608
060502	063228	065916	068778	070765	073421	075753	078621
060508	063264	065945	068790	070806	073432	075765	078641
060594	063266	066005	068796	070880	073451	075786	078686
060622	063270	066008	068841	070906	073507	075805	078688
060631	063321	066154	068854	070945	073513	075816	078716
060709	063347	066169	068868	070969	073573	075963	078745
060822	063373	066188	068889	071002	073650	075969	078752
060830	063466	066211	068950	071059	073722	075977	078756
060836	063572	066266	068971	071087	073737	076046	078795
060877	063582	066350	068986	071092	073740	076104	078815
060902	063712	066379	069020	071101	073765	076130	078857
060903	063722	066461	069082	071124	073778	076151	078872
060996	063833	066463	069108	071130	073786	076210	078899
061000	063892	066482	069176	071136	073805	076233	078921
061005	063999	066523	069180	071231	073853	076246	078997
061033	063920	066552	069208	071324	073903	076258	079063
061071	063930	066584	069254	071394	073931	076297	079110
061073	063960	066613	069260	071411	073977	076328	079119
061149	063993	066622	069282	071457	074008	076350	079226
061206	064004	066692	069341	071475	074027	076353	079232
061219	064052	066832	069379	071502	074029	076415	079246
061277	064055	066995	069403	071564	074075	076435	079254
061311	064127	067020	069422	071596	074139	076509	079279
061357	064180	067087	069526	071637	074144	076532	079339
061417	064233	067094	069598	071812	074149	076539	079392
061465	064284	067100	069602	071830	074151	076556	079426
061488	064351	067187	069640	071868	074220	076607	079458
061538	064373	067204	069657	071877	074225	076619	079464
061636	064511	067270	069685	071901	074240	076730	079494
061686	064539	067308	069743	071921	074248	076795	079629
061716	064709	067315	069791	071938	074281	076979	079643
061815	064737	067327	069827	071988	074283	077073	079680
061891	064836	067395	069831	072030	074318	077097	079682
061982	064898	067411	069840	072039	074376	077154	079684
062026	064918	067423	069842	072064	074379	077275	079700
062069	064979	067487	069862	072100	074404	077310	079747
062165	065043	067542	069989	072161	074443	077327	079819
062166	065080	067548	069998	072188	074451	077379	079826
062174	065092	067589	070041	072346	074628	077432	079857
062220	065101	067663	070079	072391	074650	077593	079858
062244	065110	067725	070096	072449	074669	077668	079890
062358	065125	067812	070127	072456	074672	077719	079922
062381	065182	067855	070146	072470	074716	077790	079930
062386	065227	067879	070168	072474	074728	077799	079930
062411	065248	067942	070257	072474	074728	077799	079950

დაფარვის ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ასტრახანის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ფ. იაზვინი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

მეუღლე ელენე, შვილები სერგო, ნუნუ, ნუზა კედიები, სიდედრი ნინო იუწყებიან **ვარლამ ჩაგუს-ძე კედიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-IX, 7 ს. გამოსვენება 30-IX, 6 ს. საბჭოს ქ. № 307.

მეუღლე ნინო, შვილი ია, დები კატო, ვისილა, რძლები ეკატერინე, მარიამ შვილით, ძმისწულები ლეონიდე, ზინა, ელენე, შოთა, აღზრდილები დარიკო, ზინა, ეენია ოჯახებით იუწყებიან **ბესარიონ მიხეილის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-IX,